



Fidelis Wealth Management LLC

Execution Policy

Fidelis Wealth Management LLC (“Fidelis”) is required to establish and implement an order execution policy and to provide appropriate information on its order execution policy to its clients. This information about Fidelis’s order execution policy is provided to you as a client of Fidelis.

1. General Principles

Pursuant Article 33 of the Law of Georgia on “Securities and Markets”, when executing or routing orders on your behalf in relation to financial instruments we will take all reasonable steps to achieve what is called “best execution” of your orders.

This means that we will have in place a policy and procedures, which are designed to obtain the best possible execution result, subject to and taking into account the characteristics of you as a client, your classification and the characteristics of the order, the financial instruments that are the subject of that order and the Execution Venues to which that order can be directed.

Our commitment to provide you with best execution does not mean that we owe you any fiduciary responsibilities over and above the specific regulatory obligations placed upon us or as may be otherwise contracted between us.

Fidelis shall not compete against clients' orders, or manipulate prices or costs in connection with the execution of clients' orders or execute clients' orders at such a price and cost as to be less advantageous for the client, nor giving knowingly misleading recommendations and information to clients on behalf of the Company.

2. Order Execution Policy

Subject to any specific instructions from you, when executing orders on your behalf or transmitting them to another entity for execution, we shall take all reasonable steps to achieve the best possible execution result for your order taking into account the execution factors listed below.

Execution Factors

The execution factors that will be taken into account are:

- price
- costs of the transaction
- speed of execution
- likelihood of execution and/or settlement;
- size and complexity of the order; and
- characteristics and nature of the order

Ordinarily price and overall costs for transacting the deal will merit a high importance in obtaining the best execution result for your order. However, in some circumstances we may determine that other factors listed above may be more important in determining the best execution result for your order. We will exercise our own discretion in determining these factors.

Execution Criteria

When executing a client order, we will take into account the following criteria for determining the relative importance of execution factors above:

- the characteristics of the client including the categorisation of the client as retail or professional;
- the characteristics of the client order;
- the characteristics of the instruments that are the subject of that order;
- the characteristics of the execution venues to which that order can be directed

Execution Venues

Fidelis will execute deals through:

- Regulated markets
- Multilateral Trading Facilities
- Market makers for their own account
- Other the Counter Market
- Non-EU entities performing similar functions

For certain transactions, such as those where a limited number of entities trades the instrument, Fidelis may use alternatives where we consider it is in your best interests to do so.

You should note that where we have obtained your prior express consent, your order might be executed outside a Regulated Market or Multilateral Trading Facility even where that order could be executed through a Regulated Market or Multilateral Trading Facility.

3. Delivering Best Execution

Having given consideration to the Execution Factors and General Principles referred to above, we will select the most appropriate venue(s) from those available and execute your order accordingly.

Whenever there is a specific instruction from you, Fidelis will carry out the order in accordance with that specific instruction and Fidelis will be deemed to have complied with the best execution requirement to the extent of that instruction.

4. Review and Monitoring

Fidelis will monitor execution quality and compliance with the Execution Policy on an ongoing basis and will at least once a year make a formal assessment of its dealing policies. You will be notified of any material changes to the Execution Policy.



შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“

შეკვეთის განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტი

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“ („ფიდელისი“) ვალდებულია, შეიმუშავოს და გაატაროს შეკვეთების განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტი და აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს საკუთარ კლიენტებს. როგორც ფიდელისის კლიენტს, წარმოგიდგენთ ფიდელისის შეკვეთების განხორციელების პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას.

1. ზოგადი პრინციპები

„ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თქვენი სახელით, შეკვეთის განხორციელებისას ან მარშრუტიზაციისას, ჩვენ მივიღებთ ყველა საჭირო ზომას, რათა მივალწიოთ თქვენი შეკვეთების „საუკეთესო განხორციელებას“.

ეს იმას გულისხმობს, რომ გატარებული პოლიტიკისა და პროცედურების მიზანი იქნება, შეკვეთების შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ განხორციელება, შემდეგის გათვალისწინებით: თქვენი, როგორც კლიენტის, მახასიათებლებისა და კლასიფიკაციის; შეკვეთის თავისებურებების; ფინანსური ინსტრუმენტების, რომლებიც აღნიშნული შეკვეთის საგანია; და განხორციელების ადგილის, სადაც შეიძლება შეკვეთის გადამისამართება.

ჩვენი ვალდებულება, რომ უზრუნველვყოთ საუკეთესო განხორციელება, არ გულისხმობს იმას, რომ თქვენ წინაშე ჩვენი ფიდუციური პასუხისმგებლობა აჭარბებს იმ კონკრეტულ მარეგულირებელ ვალდებულებებს, რომლებიც გვაკისრია, ან შეიძლება სხვაგვარად იყოს შეთანხმებული ჩვენ შორის.

ფიდელისი არ გაუწევს კონკურენციას კლიენტის შეკვეთებს, არ იმანიპულირებს კლიენტების შეკვეთების განხორციელებასთან დაკავშირებული ფასებითა თუ ხარჯებით, არ შეასრულებს კლიენტების შეკვეთების ისეთ ფასად, რომელიც ნაკლებად მომგებიანი იქნება კლიენტისთვის და არც ისეთ რეკომენდაციებსა და ინფორმაციას მიაწვდის კლიენტს კომპანიის სახელით, რომელთა მიზანიც მისი შეცდომაში შეყვანაა.

2. შეკვეთის განხორციელების პოლიტიკა

თქვენგან ნებისმიერი კონკრეტული ინსტრუქციის შესაბამისად, თქვენი სახელით შეკვეთების შესასრულებლად, მათი მესამე პირისთვის გადაცემისას, ჩვენ მივიღებთ ყველა გონივრულ ზომას, რათა მივალწიოთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო შედეგს, განხორციელების შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

განხორციელების ფაქტორები

განხორციელების ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში იქნება მიღებული, შემდეგია:

- ფასი
- ტრანზაქციის ღირებულება
- განხორციელების სიჩქარე
- განხორციელების და/ან გადახდის ალბათობა;
- შეკვეთის ზომა და სირთულე; და
- შეკვეთის მახასიათებლები

ჩვეულებრივ, გარიგების განხორციელების ფასსა და საერთო ღირებულებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება თქვენი შეკვეთის განხორციელებისას საუკეთესო შედეგის მიღწევაში. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენ შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია თქვენი შეკვეთის განხორციელებისას საუკეთესო შედეგის მისაღწევად. ამ ფაქტორებს, ჩვენ საკუთარი შეხედულებისამებრ განვსაზღვრავთ.

განხორციელების კრიტერიუმები

კლიენტის შეკვეთის განხორციელებისას, ზემოთ მოცემული განხორციელების ფაქტორების ფარდობითი მნიშვნელობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- კლიენტის მახასიათებლები, მისი, როგორც საცალო ან პროფესიონალ კლიენტად კლასიფიცირების ჩათვლით;
- კლიენტის შეკვეთის მახასიათებლები;
- შეკვეთის ინსტრუმენტების მახასიათებლები;
- განხორციელების ადგილების მახასიათებლები, სადაც შეიძლება გადამისამართდეს შეკვეთა

განხორციელების ადგილები

ფიდელისი შეკვეთებს შეასრულებს შემდეგი გზებით:

- რეგულირებადი ბაზრები
- ალტერნატიული სავაჭრო სისტემა
- მარკეტმეიკერები საკუთარი ხარჯებით
- არასაბირჟო ბაზარი
- ევროკავშირის არანევრი ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ იგივე ფუნქციებს

გარკვეული ტრანზაქციებისთვის, მაგალითად, როცა კომპანიების შეზღუდული რაოდენობა ვაჭრობს კონკრეტული ინსტრუმენტით, ფიდელისმა, შეიძლება, გამოიყენოს ალტერნატივები, იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ეს თქვენს ინტერესებშია.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენგან მიღებული გვაქვს წინასწარი თანხმობა, თქვენი შეკვეთა, შეიძლება, განხორციელდეს რეგულირებადი ბაზრისა ან ალტერნატიული სავაჭრო სისტემის გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეკვეთის განხორციელება შეიძლება რეგულირებადი ბაზრისა თუ ალტერნატიული სავაჭრო სისტემის საშუალებით.

3. საუკეთესო განხორციელების უზრუნველყოფა

ზემოთ მითითებული განხორციელების ფაქტორებისა და ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, ჩვენ შევარჩევთ ყველაზე შესაფერის ადგილ(ებ)ს ხელმისაწვდომთა შორის, რათა შესაბამისად შევასრულოთ თქვენი შეკვეთა.

თქვენგან კონკრეტული ინსტრუქციის მიღების შემთხვევაში, ფიდელისი შეკვეთას შეასრულებს ამ ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო ფიდელისის მიერ შეკვეთის საუკეთესოდ განხორციელების პირობებთან შესაბამისობა შეფასდება აღნიშნული ინსტრუქციის ხარისხის გათვალისწინებით.

4. შემოწმება და კონტროლი

ფიდელისი მუდმივად გააკონტროლებს შეკვეთების განხორციელების ხარისხსა და განხორციელების პოლიტიკასთან შესაბამისობას, ხოლო წელიწადში ერთხელ მაინც, ჩაატარებს მის მიერ გატარებული პოლიტიკის ფორმალურ შეფასებას. თქვენ ინფორმირებული იქნებით განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტში ნებისმიერი მატერიალური ცვლილების შესახებ.